სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/113

ქ. თბილისი

26 ივნისი 2025 წ.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2025-2026 სასწავლო წლის დაწყების თარიღის განსაზღვრისა და აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, სტუ-ის ვიცე-რექტორის თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 26 ივნისის №01-05-02/16 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2025-2026 სასწავლო წელი დაიწყოს 2025 წლის 20 ოქტომბერს.
2. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2025-2026 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი დანართში წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი).
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

დანართი

დანართი

სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2025-2026 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი

1. პირველკურსელთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია:

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა – 2025 წლის 3-12 სექტემბერი;
2. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა – 2025 წლის 3-12 სექტემბერი.

2. შემოდგომის სემესტრი:

1. სასწავლო მეცადინეობები – 2025 წლის 20 ოქტომბრიდან 2026 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
2. სასწავლო კომპონენტში შუასემესტრული გამოცდა (არსებობის შემთხვევაში) – 2025 წლის 8 დეკემბრიდან 13 დეკემბრის ჩათვლით.
3. დოკუმენტური მასალის ჩაბარება – 2026 წლის 9 თებერვლიდან შესაბამის დასკვნით გამოცდამდე.
4. დასკვნითი გამოცდები – 2026 წლის 9 თებერვლიდან 21 თებერვლის ჩათვლით.
5. დამატებითი გამოცდები – 2026 წლის 23 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით.
6. მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სამაგისტრო ნაშრომებისა და დისერტაციების დაცვა, აგრეთვე პროსპექტუსების/კოლოქვიუმების (არსებობისას) განხილვა – 2026 წლის 9 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით.
7. არდადეგები: 2025 წლის 31 დეკემბერი - 2026 წლის 7 იანვარი, 2026 წლის 1-15 მარტი.

3. მეორე (გაზაფხულის) სემესტრი

1. სასწავლო მეცადინეობები – 2026 წლის 16 მარტიდან 20 ივნისის ჩათვლით.
2. სასწავლო კომპონენტში შუასემესტრული გამოცდა (არსებობის შემთხვევაში) – 2026 წლის 4 მაისიდან 9 მაისის ჩათვლით.
3. დოკუმენტური მასალის ჩაბარება – 2026 წლის 22 ივნისიდან შესაბამის დასკვნით გამოცდამდე.
4. დასკვნითი გამოცდები – 2026 წლის 29 ივნისიდან 11 ივლისის ჩათვლით.
5. დამატებითი გამოცდები – 2026 წლის 13 ივლისიდან 18 ივლისის ჩათვლით.
6. მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სამაგისტრო ნაშრომებისა და დისერტაციების დაცვა, აგრეთვე პროსპექტუსების/კოლოქვიუმების (არსებობისას) განხილვა – 2026 წლის 29 ივნისიდან 18 ივლისის ჩათვლით;
7. არდადეგები – 2026 წლის 19 ივლისიდან.